პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

ოთხშაბათი, 13 აგვისტო 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 571

ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელს. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი

სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადება.

ორშაბათს, 18 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის), დანიშნულია ტფილისის საბჭოს სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1) საბჭოს დებულების განხილვა.
2) საინფორმაციო მოხსენება საბჭოს განყოფილებათა მუშაობის შესახებ.
3) მიმდინარე საკითხები.

**საბჭოს ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.**

იმ საბჭოს წევრებს, რომელთაც არ მიუღიათ საბჭოს ჟურნალი „მოამბე“ № 2/6 სექციების და აღმასკომის სხდომაზე—მიიღებენ ასეთს აღმასკომის სტატისტიკურ განყოფილებაში ოთახი № 66.

**პრეზიდიუმი.**

# რა უჭირს სოფელს.

სოფლად ბევრი რამ არის გასაკეთებელი, გამკეთებელი კი ცოტაა. გლეხობას არ სცალია საერთო საქმის მუშაობისათვის. იგი მიბმულია მიწაზე; ერთი წუთის გაცდენასაც ცრემლით გამოიტირებს.

ესეც რომ არ იყოს საერთო მუშაობას მომზადებული კაცი სჭირია.

გლეხს კი მომზადება არ აქვს.

ასეთ უმწეო მდგომარეობაში არის ის ჩავარდნილი ნიკოლოზ მეორის დროის მეოხებით.

მაშინ გლეხის განათლებაზე არავინ ფიქრობდა. პირიქით მაშინდელ მთავრობას ის უფრო აინტერესებდა, რომ გლეხი ბნელი ყოფილიყო.

გაუგებარი გლეხის ადვილი იყო მოტყუება-გაყვლეფა.

დღეს მდგომარეობა შეიცვალა. ჩვენ ეხლა ვფიქრობთ, (და საქმითაც ვაკეთებთ) რაც შეიძლება მეტი შეგნებული იყოს თვითეული მოქალაქე.

ამ მიზნით შესდგა წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობი საზოგადოება. მთავრობამ გამოსცა დეკრეტი სოფლად წერა-კითხვის შესწავლისა.

მხოლოდ ყოველივე ამას გატარება უნდა ცხოვრებაში.

კულტურულ ძალებით სოფელი კი ღარიბია.

მთავრობა შესძლებს განზრახულ მიზნების ცხოვრებაში გატარებას, მხოლოდ საქმე ის არის, ჩვენ რას ვარგებთ სოფელს.

აი რაზე უნდა დაფიქრდეს თვითეული წითელი არმიელი.

წინეთ, ნიკოლოზის დროს, ბევრი გლახა შვილი ყავდა სოფელს. ისწავლიდა თუ არა ანაბანას გაიპრანჭებოდა; ჯიბეებში ჩაიწყობდა ხელს და თხილის კნაწუნით შეჭერებოდა პაპანაქება სიცხეში მომუშავე მამას და ძმებს. იყვენ, რასაკვირველია, მუყაითი და შრომის მოყვარულნიც. ეხმარებოდენ მშობლებს. მაგრამ საქმე ის არის, რომ მუყაითი ორი სამი კი არ უნდა იყვეს, არამედ ყველა.

გლეხმა თუ შეიძინა რამე იგი იმ წრეს უნდა მოახმაროს, რომლიდანაც გამოსულია.

შეუძლია სხვა და სხვა ენაზე ლაპარაკი.

სოფელს ესაჭიროება სკოლა, კოოპერატივი, კლუბი, თეატრი, სამკითხველო და სხვა.

ყველა ამას მოწყობა უნდა. მოწყობისათვის კი გამოცდილება და ცოდნაა საჭირო.

ჩვენ წითელ ჯარში დიდ დროსა და ფულს ვხარჯავთ წითელი არმიელის გასათვითმეცნიერებლად. ვასწავლით მას წერა-კითხვას, პოლიტიკურ ანბანს; ვაჩვევთ წიგნებისა და გაზეთების კითხვას.

ეცნობა პრაქტიკულად თეატრების, სკოლების, სამკითხველოების, კოოპერატივის და სხვას მოწყობას.

აი სწორედ აქ შეძენილი ცოდნა და გამოცდილება უნდა გამოიყენოს მან სოფლად დაბრუნების დროს.

ამისათვის კი საჭიროა, რაც შეიძლება მეტი შევიძინოთ ჯარში ყოფნის დროს.

სოფლად დაბრუნებული წითელარმიელი თითით საჩვენებელი უნდა იყოს გლეხების მიერ, როგორც საჭირო და აუცილებელი კაცი საზოგადოებისათვის.

ის, ვინც სოფლად წავა სამსახურის გათავების გამო, არ უნდა დაივიწყოს ეს და მისვლისთანავე შეუდგეს სოფლის სამსახურს. მათ კი, ვისაც ჯერ ვადა არ გათავებია, უნდა მთელი გულისყური მიაპყრან სწავლა მეცადინეობას; ყველა პატიოსან მოქალაქისათვის ერთნაირად საჭიროა, როგორც თოფის ხმარების ცოდნა, აგრეთვე წერა-კითხვის.

ეს ორი—განუყრელი იარაღია მშრომელი ხალხის გამარჯვების მედიდრებზე და მჩაგვრელებზე.

# როგორ ატარებენ ამსტერდამლები პროფ-მოძრაობის მთლიანობას პრაქტიკაზე.

11 ავგისტომდი რუსეთის პროფკავშირთა დელეგაციას არ მიუღია ოფიციალური მიწვევის ბარათი საერთაშორისო ტრანსპორტის მუშათა კონგრესზე ჰამბურგში, რის გამოც გერმანიის მთავრობამ არ მისცა დელეგაციას სათანადო სამგზავრო ვიზები.

ამხ. მელჩავსკიმ როსტას თანამშრომელს აცნობა შემდეგი: „ჩვენ საკვირველად მიგვაჩნია ინტერნაციონალურ სატრანსპორტო ფედერაციის ხელმძღვანელების, ვილლიამსისა და ფიმენის მოქმედება.

ჩვენ მოველოდით, რომ რუსეთის კავშირები მოწვეული იქნებოდენ, როგორც სხვა რევოლიუციონურ კავშირები.

რამოდენიმე დღით წინ კონგრესის გახსნამდი ტრანსპორტის კავშირის ცეკამ მიიღო ამსტერდამის ინტერნაციონალის, სატრანსპორტო ფედერაციის სეკრეტარიატიდან თხოვნა, რათა გადაგზავნილ ყოფილიყო მასალები გამოფენისათვის, ხოლო საბჭოთა კავშირის კონგრესზე მიწვევის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს.

ჩვენს შეკითხვაზე ამის შესახებ სეკრეტარიატმა გვიპასუხა, რომ რუსეთის კავშირების მოწვევის საკითხი დასმული იქნება თვითონ კონგრესზე.

ვილიამსი და ფიმენი წარმოადგენენ ამსტერდამის მემარცხენე ფრთის წარმომადგენლებს. იმათ კარგად ესმით პოზიცია, რომელიც დაიკავეს რუსეთისა და სხვა კავშირებმა პროფინტერნის კონგრესზე საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ. მით უფრო საკვირველია მათი საქციელი. ერთი მხრივ მათი განცხადება პროფმოძრაობის მთლიანობის აუცილებლობისა და რუსეთის პროფკავშირებთან გაერთიანების შესახებ, მეორე მხრივ-მათი სურვილი რევოლიუციონურ კავშირებთან ლაპარაკისა.

საერთოდ მათი სურვილია გაახანგრძლივონ საერთაშორისო პროფმოძრაობის გაერთიანების მომენტი.

# მოკავშირეთა კონფერენცია

კლემენტალისა და გენერალ ნოლეს თანხლებით ერიო დაბრუნდა ლონდონში.

თუმცა არ არის ოფიციალური ცნობა საფრანგეთის დელეგაციის საბოლოო წინადადების შესახებ რურის ევაკუაციის საქმეში, მაგრამ, როგორც ფიქრობენერიოგაცხადებს, რომ რურიდან ჯარები გაყვანილ იქნებიან მთელ რიგ პირობათა დაცვით.

**14-თა საბჭოს სხდომა.**

ვინაიდან სამხედრო ევაკუაციის საკითხი ეხება უმთავრესად საფრანგეთ-ბელგიის და გერმანიის დელეგაციებს, 14-თა საბჭოს სხდომაზე ეს საკითხი განხილულ იქნა გაკვრით.

მოკავშირეთა დელეგაციების მეთაურებს იმედი აქვთ, რომ ეს საკითხი ჩქარა და სასურველად დამთავრდება.

საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა კომისიის მოხსენება რურის ეკონომიურ ევაკუაციის შესახებ.

საბოლოოდ გადაჭრილია ამნისტიის საკითხი.

14-თა საბჭომ განიხილა აგრეთვე კომისიის მოხსენება არბიტრაჟის შესახებ.

თავის მოხსენებაში კომისია ამტკიცებს, რომ არბიტრაჟს ამ შემთხვევაში ექნება დიდი გავლენა, რომელიც დაიყვანს მინიმუმამდი გერმანიის ნორმალურ ფინანსიურ მდგომარეობის რღვევას. მოხსენებაში დასმულ იქნა აგრეთვე საკითხი, რათა 23 აგვისტოდან გააუქმონ საბაჟოების ჯარიმების სისტემა გერმანიის მიმართ.

ყველა კომისიის მოხსენებები, 14-თა საბჭოს შეაქვს ერთ ოქმში, რომელიც წარედგინება კონფერენციის პლენუმს განსახილველად.

**საფრანგეთის წინადადება.**

საფრანგეთის დელეგაცია გამოსთქვამს სურვილს მოახდინოს რურის ევაკუაცია ერთ წელში, იმ შემთხვევაში თუ ასრულებული იქნება პირობები ექსპერტთა გეგმის შესახებ და საფრანგეთს მიენიჭება ზოგიერთი ეკონომიური უპირატესობა.

გერმანიის დელეგაცია მოითხოვს, რათა ევაკუაცია დამთავრებულ იქნას იანვრისათვის.

ამასთან ერთად დელეგაცია სთვლის, რომ საფრანგეთის ეკონომიური მოთხოვნილება მეტად დიდია.

მაგრამ არის მაინც საბუთი ვიფიქროთ, რომ გერმანიისა და საფრანგეთის დელეგაციის შეთანხმება მიღწეულ იქნება ამ კვირაში.

# „რა უნდა მოჰყვეს ინგლისთან შეთანხმებამ“

## „პრავდა“-ს წერილი.

ინგლისთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც სასიკვდილო მახვილია კერზონის პოლიტიკისათვის, მტკიცე ნიადაგზე აყენებს ჩვენს ურთიერთობას ევროპის უძლიერეს კაპიტალისტურ ქვეყანასთნ და საგრძნობლად აფართოებს ჩვენი ეკონომიური ბრძოლის ბაზას მსოფლიო ბაზარზე.

ხელშეკრულება ითვალისწინებს სესხისა და კრედიტის მიღებას ჩვენ მიერ.

მარტო ის შესაძლებლობა, რომლის წყალობითაც ჩვენ მოვიპოვებთ ახალ სახსრებს ჩვენი მეურნეობის გასაუმჯობესებლად, ამართლებს იმ ვალდებულებებს, რომლებსაც ჩვენ ვკისრულობთ.

როგორც ვიცით, კერძო მესაკუთრეთა მადას ერთგულად იცავდა მაკდონალდის მუშათა მთავრობა.

და თუ ამ მესაკუთრეთა მადამ ვერ შესძლო ამ ჟამად ჩაეშალა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ინგლისის მუშათა კლასმა შესძლო ბოლოს გავლენა მოეხდინა იმათზე, ვინც მისი სახელით ლაპარაკობდა.

მხოლოდ ჩვენი მეურნეობის გაუმჯობესების მიზნით, მხოლოდ იმ ანგარიშით, რომ სარგებლობა, რომელსაც მისცემს ჩვენს ფინანსებს ხელშეკრულება, მეტი იქნება მინუსებზე, რომლებთანაც დაკავშირებულია ჩვენი დათმობა, საბჭოთა მთავრობა უთანხმდება ინგლისს.

ჩვენი კავშირის მშრომელმა მასებმა, ამ შეთანხმების შეფასების დროს არ უნდა გაუშვან მხედველობიდან, რომ ეს მოლაპარაკება არ ჩაიშალა მხოლოდ იმის წყალობით, რომ ინგლისის პროლეტარიატის საზოგადოებრივმა აზრმა გავლენა მოახდინა მთავრობაზე,

და შემდეგშიაც ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ინგლისის პროლეტარიატი კვლავ დახმარებას გაუწევს, რათა ერთმანეთს დაუახლოვდეს ეს ორი დიდი, ევროპის სამეურნეო ორგანიზაცია.

### მოლაპარაკება.

11 აგვისტოს საფრანგეთის და გერმანიის დელეგაციებს შორის მიდიოდა მოლაპარაკება რურის ევაკუაციის საკითხის შესახებ.

14-თა საბჭოს სხდომის შემდეგ შტრეზემანს თათბირი ჰქონდა კლემენტალთან.

შემდეგ შტრეზემანმა და მარქსმა ინახულეს ტენისი და ერიო.

## საერთაშორისო მუშათა დახმარების ორგანიზაციის 3 წლის თავი.

საერთაშორისო მუშათა დახმარების ორგანიზაციის ალმასბიუროს თავმჯდომარემ, ამხ. რიხარდ ერინგმა შეეხო ორგანიზაციის მუშაობას და აღნიშნა, რომ 1921—22 წლებში ყველა ქვეყნებიდან გამოგზავნილ იქნა საბჭოთა რუსეთში სურსათი, მედიკამენტები და ტანისამოსი სულ 5 მილიონი დოლარის.

ორგანიზაციის ხარჯზე სსრკ-ში მყოფ უცხოელ მუშათა დასახმარებლად მოწყობილია საცდელ-საჩვენებელი მეურნეობანი, სანიმუშო სატრაქტორო მეურნეობა 15.000 დესიატინის მანძილზე ურალის მხარეში და სხვა

ორგანიზაცია აწარმოებს აგრეთვე საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციებს და საწარმოო კინო მუშაობას.

იაპონიის კატასტროფის შემდეგ ორგანიზაცია ყოველმხრივ დაეხმარა იაპონიის მუშებს. გერმანიის დამშეულ პროლეტარიატს ორგანიზაციამ მიაწოდა რამოდენიმე ტონა პური სსრკ-დან.

ამხ. კლარა ცეტკინმა მიმართა ორგანიზაციის სიტყვით, რომელიც დაამთავრა შემდეგი მოწოდებით: „გააგრძელეთ დიდი საქმე საერთაშორისო მუშათა დახმარებისა.“

## საბჭოთა ფედერაციაში

### თამბაქოს მრეწველობა საბჭოთა კავშირში.

საკავშირო სახალხო სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმმა დაამკიცა დადგენილება სსრკ-ს თამბაქოს სამრეწველოს ყრილობათა ბიუროს შესახებ.

ბიუროს ევალება წარმომადგენლობა და თამბაქოს მრეწველობის ინტერესების დაცვა სახელმწიფო დაწესებულებებში და სხვა ორგანიზაციებში.

ყრილობის წევრად შეუძლიათ იყონ ყველა სახელმწიფო გაერთიანებანი, ტრესტები და კომბინატები რომელთა შემადგენლობაში შედიან თამბაქოს ფაბრიკები და ცალკე სახელმწიფო სამრეწვ. დაწესებულებები, არსებულნი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

## უკანასკნელ საათში

### 14-თა საბჭოში.

14-თა საბჭოს სხდომაზე დადგენილ იქნა შემოიღონ საარბიტრაჟო სისტემა იმ სადაო საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც წამოიჭრებიან სარეპარაციო გადასახადის გამცემი კომისიებსა და გერმანიის მთავრობის შორის.

საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარე იქნება, როგორც სჩანს, ამერიკელი.

### ერიო რურის ევაკუაციის შესახებ.

გავასის სააგენტო იუწყება, რომ ერიო თავის მთავრობასთან და მოკავშირეთა სახელმწიფოებთან შეთანხმებით ფიქრობს, რომ საკითხი რურის სამხედრო ევაკუაციის შესახებ არ შეიძლება განხილულ იქნას კონფერენციის მიერ.

ერიო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ევაკუაციის საკითხი ისმება ექსპერტთა გეგმის გატარებასთან დაკავშირებით.

იმ შემთხვევაში, თუ გეგმა გატარებულ იქნება განსაზღვრულ ვადაზე, ერიო შეასრულებს თავის სიტყვას და შესწყვიტავს ოკუპაციას. ფოშმა მოიწონა ერიოს თვალსაზრისი.

### პრესა.

ლონდონის პრესა შიშს გამოსთქვამს ერიოს მოსალოდნელ გამგზავრების გამო პარიზში.

პრესა ერთხელ კიდევ ამტკიცებს არსებულ შეხედულებას, რომ რურის სამხედრო ევაკუაცია ცენტრალური პრობლემაა კონფერენციისათვის და რომ მოლაპარაკება მეორე ხარისხოვანი საკითხების გარშემო გერმანიის დელეგაციასთან არ მოიტანს არავითარ შედეგებს, სანამ არ გადაიჭრება საკითხი რურის ევაკუაციის შესახებ.

ლონდონის კორესპონდენტის ცნობით ერიოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უთუოდ კეთილ გონივრულია, მაგრამ კონფერენციის შეძლებას ართმევს გაერკვას ევაკუაციის საკითხში.

იმ დროს, როცა კონფერენციაზე იმყოფებოდენ საფრანგეთის ფინანსთა და სამხედრო მინისტრები, ერიო გაემგზავრა პარიზში სათათბიროდ დანარჩენ მთავრობის წევრებთან, რომელთა აზრსაც მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდათ ევაკუაციის საკითხში და მათთან ეძებდა რჩევას საბოლოო გადაწყვეტილებისათვის.

## რადიო ყოველ მხრიდან.

### გრიგალი სტამბოლში.

სტამბოლზე და მის მიდამოებზე გადაიარა ძლიერმა გრიგალმა, რომელმაც აუარებელი ადამიანი იმსხვერპლა.

### პირობითი განთავისუფლება.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით პირობით გაათავისუფლეს გოლცკი. გოლცკი პასუხისგებაში იყო მიცემული ანტიმილიტარისტულ გაზეთის „ბონერუჟი“-ს საქმეზე, რომელიც გამოდიოდა ომის დროს და შემდეგ.

### ესპანეთის ჯარები გადიან მაროკოდან.

პრიმა დე-რივერამ გადასცა პრესას ცნობა, რომელიც ამართლებს დირექტორიის პოლიტიკას. ცნობაში აღნიშნულია, რომ ახლო მომავალში ესპანეთის ჯარები გავლენ მაროკოდან.

### ამხ ჟილბერის დაპატიმრება.

საფრანგეთის კომპარტიის დელეგატი ჟილბერი დაპატიმრებულ იქნა პარიზში საერთაშორისო აქტიურ კვირეულის ჩატარების დროს.

### კესელის გადასახლება.

კელნას კომ. დეპუტატი კესელი, რომელიც დაპატიმრებული იყო ბრიუსელში ომის საწინაალმდეგოდ გამართულ დემონსტრაციების დროს, გადასახლებულ იქნა გერმანიის განაპირა ადგილში.

### ეგვიპტე.

#### ინგლისის საწინაალმდეგო დემონსტრაცია.

„დეილი მეილის“ კორესპონდენტი იუწყება ხართუმიდან, რომ იქ მოახდინა დემონსტრაცია სამხედრო სკოლების მოსწავლეებმა ბრიტანეთის მმართველობის წინაალმდეგ. დააპატიმრეს და სამართალში მისცეს სამხედრო სკოლების უფროსები.

### მუშათა სოლიდარობა

გავრში (საფრანგეთშია) გაიფიცა მეზღვაურები, რომლებსაც მიემხრენ ნავთსადგურის მუშები და გამოაცხადეს 48 საათიანი თანაგრძნობის გაფიცვები.

### იაპონიის ახალი ინტრიგები.

კვლავ დადის ხმები იაპონიასა და ჩინეთს შორის საიდუმლო მოლაპარაკების შესახებ. ეჭვი არ არის რომ იაპონია სცდილობს წინაღუდგეს ჩინეთ-საბჭოთა შეთანხმებას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის შესახებ.

### მოკავშირეთა კონფერენცია რურის შესახებ.

კვირას ღამით მოხდა საფრანგეთის მინისტრთა საგანგებო თათბირი. ერთხმად გადაწყდა მხარი დაუჭირონ გეგმას რურის სამხედრო ევაკუაციის საკითხში დოუესის გეგმის ცხოვრებაში გატარებასთან ერთად. ამ მრიგად გენერალ ნოლლეს პროექტი, რომელიც აყენებდა ევაკუაციის საკითხს საფრანგეთის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, დამარცხდა.

კაბინეტის სხდომის გათავების თანავე საფრანგეთის დელეგაციის წევრები დაბრუნდენ ლონდონში.

### შეთანხმება ამნისტიის შესახებ.

საფრანგეთისა და გერმანიის დელეგაციებს შორის შეთანხმებით ცხადდება ამნისტია საოკუპაციო ოლქების მცხოვრებთა სასარგებლოდ, რომლებიც პასუხისგებაში იყვნენ მიცემული საოკუპაციო ძალთა წინაალმდეგ გამოსვლებისათვის; ამნისტია ვრცელდება ყველაზე, გარდა იმ პირებისა, რომელთაც ბრალად ედებათ მკვლელობანი.

### „რესპუბლიკის“ მეხუთე წლის თავი.

10 აგვისტოს მთელ გერმანიის იმპერიაში გამართული იყო ვეიმარის რესპუბლიკის მეორე წლის თავის დღესასწაული

ვეიმარში პრეზიდენტ ებერტმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ გერმანიის რესპუბლიკა სცდილობს გასწმინდოს ნაციონალური ტერიტორიები მტრის ჯარებისაგან და აღადგინოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი.

## კაპიტალის მუხრუჭი

რუმინეთში მყოფი ამერიკის წარმომადგენელი დაბრუნდა ბუქარესტიდან ვაშინგტონში მოხსენებით რუმინეთის კანონების შესახებ ნავთის წყაროების საქმეში.

ის დაბრუნდება ბუქარესტში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუმინეთი თანახმა იქნება შესცვალოს აღნიშნული კანონი, თანახმად ამერიკის მოთხოვნილებისა.

თუ რუმინეთი არ აასრულებს ვალდებულებებს ამერიკის მსხვილ ფირმების წინაშე, იმ შემთხვევაში რუმინეთზე ხმარებულ იქნება დიპლომატიური ძალმომრეობა.

## სანამ იარსებებს წითელი ჯარი.

(წითელ არმიელისათვის)

ყოველ სახელმწიფოს ყავს ცოცხალი შეიარაღებული ძალა.

ასეთი ძალის ყოლა საჭირო იქნება მანამდე, სანამ სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა იარსებებს.

სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა კი იარსებებს მანამდე, სანამ ქვეყნად სოციალიზმი არ დამყარდება.

სოციალიზმის დროს არ იქნება კლასი, არ იქნება განსხვავება ხალხთა შორის უფლებების მხრივ.

არ იქნება სახელმწიფო და არ იქნება ჯარიც.

თავის-თავად ცხადია, წითელი არმიის ყოლის საჭიროება დამოკიდებულია სხვა სახელმწიფოების მიერ ჯარის ყოლაზე.

რასაკვირველია განსხვავება წით. ჯარსა და იმ ჯარს შორის, რომელიც სხვა სახელმწიფოებს ყავთ დიდია, იმპერიალისტურ სახელმწიფოს ჯარი უნდა დასაპყრობად, ბაზრის გასაფართოებლად.

წითელ ჯარს ასეთი დანიშნულება არც აქვს და არც ექნება.

წითელი ჯარი რევოლიუციონური ჯარია. იგი შექმნილია რევოლიუციით მონაპოვარ თავისუფლების დასაცავად.

საბჭოთა კავშირს, როგორც სახელმწიფოს გლეხებისას და მუშებისას, ბევრი და ძლიერი მტერი ჰყავს.

ყველა მდიდარი, ყველა მემამულე, ფაბრიკა-ქარხნის მეპატრონე ფიქრობს, როგორმე დრო იპოვოს და ამ მუშურ ქვეყნების კავშირს შემოუტიოს.

მდიდრებს სძულთ ჩვენი მთავრობა.

ვძულვართ ჩვენც.

რატომ?

იმიტომ, რომ ჩვენი მთავრობა ართმევს მათ სიმდიდრეს და ხალხს აძლევს.

გარდა ამისა სხვა ქვეყნის მუშებს და ღარიბ გლეხებს სურთ ისე მოაწყონ თავის ქვეყანა, როგორც ჩვენ.

ამ ნიადაგზე იქ დიდი ბრძოლა არის გამართული.

თქვენ ყოველ დღე კითხულობთ გაზეთში იმ საშინელ ამბებს, რომელსაც დღეს ბულგარეთში აქვს ადგილი.

იქ გლეხთა მოძრაობაა.

გლეხობას არა სურს არსებული მთავრობა და მის წინაალმდეგ ილაშქრებს. მთავრობას არა სურს ტახტიდან ჩამობრძანება, გლეხებისთვის მიწის მიცემა, რვა საათის სამუშაო დღის და კარგი ხელფასის დამყარება.

ამიტომ იგი თოფით და მახვილით უმასპინძლდება მათ. ხვრეტს კომუნისტურ პარტიის წევრებს, რომლებიც ღარიბ გლეხების წინამძღოლია.

და რომელი ქვეყანა უნდა აიღოთ, რომ იქ მუშების, გლეხების და მათი წინამძღოლის კომუნისტური პარტიის დევნა არ იყოს!

ამ მთავრობებს ერთნაირად სძულთ, როგორც თავის ქვეყნის მუშა და გლეხი, ისე ჩვენც საბჭოთა კავშირის მოქალაქენი.

სძულთ მათ წითელი ჯარი, ვინაიდან ეს ჯარი იცავს მუშურ-გლეხურ მთავრობას.

აქედან ცხადია, წითელი ჯარის არსებობის საჭიროება.

იგი საჭიროა დღეს და საჭირო იქნება მანამდე, სანამ ქვეყნად კაპიტალი არსებობს.

მაშინ კი, როდესაც მსოფლიო მუშათა კლასი კომუნისტური დროშის ქვეშ შესძლებს მოსპოს ქვეყნად კაპიტალის ბატონობა და სოციალიზმის დამყარებას, წითელი ჯარიც საჭირო არ იქნება.

მაშინ იმ ხარჯს, რომელსაც დღეს ჯარი მოითხოვს, მოახმარენ ქვეყნის აყვავებას.

მანამდის კი მუშათა კლასის ვალია ფხიზლად იყოს სადარაჯოზე და ერთ ხელში ჩაქუჩით და მეორე ხელში თოფით გამოსჭედოს და დაიცვას თავისი ბედი.

**განიძე.**

ჩვენი წითელი კარვი

## კავშირი სოფელთან.

ცხენოსან ლეგიონმა ბანაკში მოსვლისთანავე დაიჭირა კავშირი ახლომდებარე სოფელთან. პირველად სოფლის პარტიული ორგანიზაციების კრებაზე დაესწრენ ჩვენი წარმომადგენლები, ხოლო შემდეგ კი სოფლიდან იქნენ ჩვენთან მოწვეული.

სოფლისა და ლეგიონის კომკავშირელები მიმაგრებული იქნენ ერთმანეთთან უფრო დაახლოებისა და ნაყოფიერი მუშაობის წარმოების მიზნით.

3 აგვისტოს მოხდა გაერთიანებული მიტინგი სოფლელებთან. აქ გადაწყდა ერთ ერთი ღელიდან, რომელიც ძლიერ დიდ ზარალს აძლევს გლეხობას გაყვანილ იქნეს არხი. ამ მიზნით დიდი მუშაობა სწარმოებს, როგორც გლეხობაში ისე ლეგიონში. ჩვენ ვემზადებით ყოველგვარი დახმარება გაუწიოთ სოფელს ამ მიმართულებით. ჯერ ჯერობით ადგილობრივი ორგანიზაციები აგროვებენ საჭირო მასალებს და ამ ახლო მომავალში შეუდგებით მუშაობას.

ამის გარდა ლეგიონმა იკისრა სოფლის ახკომკავშირელებთან პოლიტიკური წრის დაარსება, რაც დიდ დახმარებას გაუწევს ადგილობრივ ახალგაზრდობას პოლიტიკურად მომზადების საქმეში.

ცისპირელი.

## საერთო კრება.

7 აგვისტოს, ხუთშაბათს უფროს მეთაურთა სკოლის კლუბში მოწვეული იქნა ბანაკში მყოფ ყველა ნაწილების პარტამხანაგების კრება, რომელიც გახსნა ამხ. ქკუსელმა.

დღის წესრიგში იყო ერთი საკითხი: „მომავალი იმპერიალისტური ომი და საბჭოთა ხელისუფლების ამოცანები.“

მოხსენებს აკეთებს პირველი დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი **ამხ. კვირიკაძე.**

მომხსენებელი ფართედ შეეხო ომს, მის გამომწვევ მიზეზებს და აღნიშნა, რომ სანამ იქნება კაპიტალისტური წესწყობილება-ყოველთვის ვიდგომებით იმპერიალისტურ-განმანადგურებელ ომების საფრთხის წინაშეო.

მეტად საინტერესო იყო მოხსენების ის ადგილი, რომელიც შეეხებოდა წარსულ მსოფლიო ომის მამოძრავებელ ძალების სტატისტიკას. ამხ. დაწვრილებით გაგვაცნო, თუ რამდენი დაუჯდა კაცობრიობას ეს საშინელი სასაკლაო და რამდენი ზარბაზანი, ტყვიამფრქვევი, ჰაეროპლანები და ტანკები ღებულობდენ მონაწილეობას ომში. აღნიშნა აგრეთვე ქიმიური ომისა და წყალქვეშა ბრძოლის სწრაფი განვითარება.

მოხსენების მეორე ნაწილი შეეხებოდა საბჭოთა ხელისუფლების ამოცანებს შესაძლებელ ომების დროს. ამხ. მიუთითა, თუ როგორი ზომები უნდა მიიღოს ჩვენმა პარტიამ ამ დროს—იმპერიალისტურ ომს სამოქალაქო ომი უნდა დაუპირდაპირდეს.

შემდეგ მოგვიწოდებს სამხედრო საქმის ზედმიწევნით შესწავლისაკენ.

ბოლოს იყო შეკითხვებიც, რომელთა დაკმაყოფილების შემდეგ კრებამ გამოიტანა შესაფერისი რეზოლიუცია.

ა. ჭკადუა.

## ქურდობა არ დაიმალება.

პირველი ლეგიონის მესამე ასეულში გვყოლია ერთი ეღირსი ამხანაგი, რომლის მოქმედება ჩირქს სცხებდა ყველა პატიოსან ამხანაგებს.

ამას წინად გაზ. „წითელ-არმიელის“ ფურცლებზე აღვნიშნე ის მოუწესრიგებლობა სურსათის დარიგების საქმეში, რომელსაც ადგილი ქონდა ჩვენს ასეულში. ამავე დროს იყო სურსათის დამრიგებლად ჩვენი ჯგუფის თავი გედევან ლორთქიფანიძე. ბევრი რამ იკარგებოდა ასეულში და ოდნავი ეჭვი კი გვქონდა აღებული მოქ. ლორთქიფანიძეზე, მაგრამ საბუთები არ მოიპოვებოდა და ხმას ვერ ვიღებდით. ის კი თურმე არხეინად აკეთებდა თავის საქმეს.

ერთხელაც იქნა გამომჟღავნებული მისი საქციელი.

ერთ მშვენიერ დღეს ლორთქიფანიძეს გაუტეხია ქსენონის ფანჯარა, გამოუტანია სხვა და სხვა ნივთები და შემოუზიდავს ყაზარმაში.

როგორ უნდა გაეტანა გარედ? კარგად იცოდა, რომ ნივთების გატანის დროს მას გასინჯავდენ. ამიტომ წასულა და თავისი გაქრევება გაუნდვია ასეულის მორიგისთვის და უთხოვია დახმარება. მორიგე თურმე არ დათანხმდა და ლორთქიფანიძეს აც ჩაუვარდა კოვზი ნაცარში. მორიგემ ყველაფერი გამოამჟღავნა. გავჩხრიკეთ და სადაც საჭირო იყო იქ მივაბრძანეთ.

ზიზღი და შორს ჩვენი რიგებიდან ასეთები,. რომლებიც თავისი საზიზღარი საქციელით ჩირქს სცხებენ პატიოსან ამხანაგებს.

ი. ძიძიგური.

## ამხ. სოსო გუაჩიძის გაცილება.

6 აგვისტოს ალღუმიდან დაბრუნებული კურსანტები კარვებს წინ შეგროვილი ისვენებდენ.

უეცრივ გაისმა ხმა: „სალამი მარჯვნივ“. და ყველამ ყურები სცქვიტა.

მოგვიახლოვდენ სკოლის უფროსი ამხ. გუაჩიძე და ამიერ კავკასიის სამხედრო სკოლების ინსპექტორი ამხ. ტალახაძე.

მოგვესალმა ამხ. სოსო და შემდეგ ეს მისალმება გამოსასალმებელ სიტყვად შეეცვალა.

ამხ. სოსო გვცილდება—მიდის სამხედრო აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად. გაათავა სიტყვა ამხ. სოსომ და იგრიალა კურსანტების ვაშამ.

შემდეგ სიტყვით მოგვმართა ტალახაძემ, რომელმაც გაგვამხნევა და მოგვიწოდა ცოდნის შეძენისაკენ.

საპასუხო გამოსამშვიდობებელი სიტყვებით გამოვიდენ ამხ. კურსანტები, რომლებიც მწუხარებას გამოსთქვამდენ ძვირფასი უფროსისა და მეგობრის მოცილების გამო.

ერთხელ კიდევ შევფიცეთ ამხ. სოსოს საბჭოთა ხელისუფლებასა და პროლეტარიატისადმი ერთგულება, უკანასკნელად უსურვეთ მშვიდობით მგზავრობა და ხელზე აყვანილი მივაცილეთ თავის ოთახამდის.

სალამი და გამარჯვება ჩვენს ძვირფას ამხანაგს სოსოს.

შ. თელია.

# პარტიული ცხოვრება.

## პირველი ასეულის კომუჯრედი.

პირველი ლეგიონის პირველ ასეულის კომუჯრედში ენერგიული მუშაობაა, რომელსაც სისტემატიური ხასიათი აქვს. კრების მოწვევის შესახებ მდივანი ყოველთვის უშვებს განცხადებას.

ივლისის უკანასკნელ რიცხვებში მოწვეული იქნა უჯრედის ღია კრება, რომელსაც აუარება უპარტიო წითელ არმიელები დაესწრენ. საერთოდ უპარტიონი ძლიერ დაინტერესებულნი არიან კომუჯრედის მუშაობით, რომელშიდაც ხშირად თავისი წვლილიც შეაქვთ.

უპარტიო წითელ არმიელები არა თუ მონაწილეობას ღებულობდენ უჯრედის მიერ წამოყენებულ საკითხების გარჩევაში, არამედ ხშირად თვითონ შეაქვთ გასარჩევად სხვა და სხვა საყურადღებო საკითხები.

სხვა მრავალ საკითხებთა შორის ზემოხსენებულ კრების დროს დღის წესრიგში იყო შეტანილი საერთაშორისო მდგომარეობის კვირეული მიმოხილვის შესახებ. ყველაზე მეტს ეს აინტერესებდა არმიელებს. გამოდის წინდაწინვე არჩეული მომხსენებელი.

მოხსენება მეტად საინტეროსო გამოვიდა, რამაც გამოიწვია არმიელების მხურვალე ტაში.

შემდეგისათვის იმავე ამხანაგს ერაძეს ანდობენ ასეთივე მოხსენების გაკეთებას. როგორც ღამოჩნდა მას ძლიერ ეხერხება გაზეთებიდან საყურადღებო ცნობების ამოკრეფა და მათი სათანადოთ გაშუქება.

ამნაირად უჯრედმა მიზნად დაისახა მოხსენებებს კითხულობდენ, როგორც პარტიულები, ისე უპარტიო ამხანაგებიც.

ს. იმნაიშვილი.

## პარტიული მუშაობა ა-თე ლეგიონში.

ახალი გაწვევის შემდეგ აღნიშნულ ლეგიონში მხოლოდ სამი კომუჯრედი არსებობს. კომუჯრედები ჯერ კიდევ ბანაკად გასვლამდე აწარმოებდენ ნორმალურ მუშაობას. სისტემატიურად ხდებოდა ღია კრებები

## პროფესორი ოტტო შმეილი.

### ადამიანი.

თარგმანი ივანე ელიაშვილისა.

**ადამიანის სხეული და მისი ანმრთელობა.**

**ადამიანის სხეულის უმთავრესი წილები.**

ადამიანის სხეულს შეადგენს სამი წილი: თავი, ტანი და კიდურები ელ-ფეხი). თავი უერთდება ტანს ძრავი სვეტით, კისრით. კისრის ოხებით თავს შეუძლია მოძრაობა ველ მხრივ.

რადგან თავზეა მოთავსებული იად მნიშვნელოვანი ორგანოები აგრეთვე ჰაერის (ცხვირი) და მლის (პირი) მიმღები ორგანოე- ამიტომ ადვილი გასაგებია, თუ მდენად მნიშვნელოვანია კისრისა თავის თავისუფალი მოძრაობა.

### 1 ჩონჩხი.

**1. ჩონჩხი და მისი შედგენილი ლები,** — სადა ცხოველები, მელნიც წყალში ცხოვრობენ, ავრესად ფაქიზი ტანისანი არი- წყლიდან რომ ამოიღოთ, რომ- თაც ისინი ყოველ მხრივ გარე- ულნი არიან, იმ წამსვე ჰკარგა- თვის გარეგნულ სახეს, რადგა- ეკარგებათ დასაყრდნობელი გი. იმ ცხოველებს, რომელ- დედა-მიწაზე სცხოვრობენ და ლებისთვისაც ირგვლივ მყოფი ი არ წარმოადგენს მათთვის ყრდნობ ნიადაგს, აქვთ ბევ- **მეტი სიმაგრით** მტკიცე სა- ველი, სასის ძვლები, რომელ- იღებს მონაწილეობას სასის ფიტას აგებულებაში (რომელიც ვრავს ცხვირის ღრუს პირის ღრუსაგან) და მოძრავი ქვედა ყბის ძვალი ქვემო კბილების წყობით.

### ბ. ტანის ძვლები.

**1. ხერხემლის სვეტი.**—ა) ტანის მთელ უკანა სიგრძეზე სდგას ძვლის სვეტი. იგია სხეულის მთავარი დასაყრდნობი.

ლათინურ ასო S—ის მსგავსად იგი ორჯელ არის მოღუნული. იგი რომ ერთის მთლიანი ძვლისაგან ყოფილიყო შედგენილი, მაშინ ჩვენი ტანი სრულიად უძრავი იქნებოდა.

ხოლო ნამდვილად ეს სვეტი არის შედგენილი ძვლების დიდის რიცხვისაგან (33), ეგრე წოდებულ ძალთაგან, რომელნიც ერთი მეორეზეა მძივებივით აცმული და ჰქმნის იმ სვეტს, რომელსაც ხერხემალს ვუწოდებთ. ყოველ ორ მეზობელ ძალთა შორის ძევს მოქნილი ღრტილის შრე, რის მეოხებითაც ხერხემალი არის მოქნილი და საკმაოდ მოძრავი.

გარდა ამისა ამ შრეს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ბუფერს ლოკომოტივზე: იგი ზამბარაკივით ანელებს ბიძგს, რომელსაც მიიღებს ხოლმე ტანი სირბილისა და ხტუნვის დროს. ამ გზით თავის ტვინი უზრუნველყოფილი ხდება დიდის შერყევისაგან.

### ა. თავის ძვლები.

თავი განიყოფება სახეთ და ქალათ, რომელთაც საზღვრავს თვალბუდის ზემო პირი.

**1. ქალა.** ქალას ძვლები შეადგენს კოლოფს, რომელიც მასში მოთავსებულის ტვინის საფარი არის. ქალას სარქველი შესდგება შუბლის ძვლისაგან, თხემის ორი ძვლისგან და საფეთქლის ორი ძვლისაგან და აგრეთვე კეფის ძვლისაგან.

ეს ჯამის მსგავსი ძვლები ისე ძლიერად არის დაკავშირებული ერთმანეთთან ნაკერებით, რომ მთავარ ადამიანს დიდის შერყევის დროსაც კი არ ერღვევა. ეს დაკავშირება დამოკიდებულია იმაზე, რომ ნაკერების პირზე მყოფი ერთი ძვლის კბილები მეორე ძვლის კბილებშია ჩაჭედილი. პატარა ბავშს, პირიქით, ძვლები ჯერ არა აქვს დაკავშირებული, რადგანაც წინაალმდეგ შემთხვევაში მისი ტვინი ვერ გადიდდებოდა. აქედანვე გასაგებია, რომ ბავშის ტვინი ვერ არის ისე დაფარული დარტყმევისა და დაწოლისაგან, როგორც დამთავრებული ადამიანის ტვინი.

კეფის ძვალში არის დიდი მომრგვალო ხვრელი, რომელსაც კეფის დიდი ხვრელი ჰქვია. ამ ხვრელში გადის ზურგის ტვინი, რომელიც ზემო ბოლოთი უერთდება თავის ტვინს.

**2. სახე**. სახის ძვლები იღებს მონაწილეობას თვალის, ცხვირისა და პირის ღრუების აგებულებაში. სახის უმთავრესი ძვლები არის: ორი ზედა ყბის ძვალი კბილების წყობით, ორი ყვრიმალის ძვალი, რომელნიც იღებს მონაწილეობას თვალბუდის აგებულებაში; ცხვირის ძვლები, რომელნიც შეადგენს ცხვირის ზემო ნაწილის მოწყობილ სხეულს. ხერხემლიან ცხოველთა სხეულს სიმაგრეს აძლევს ძვლების ჩონჩხი ისევე, როგორც ადამიანის სხეულს.

რადგან ცხოველიც და ადამიანიც მოძრაობენ, ამიტომ შეუძლებელია, რომ ჩონჩხი უძრავი ძვლებისაგან იყოს შემდგარი.

მოძრაობისათვის მას ესაჭიროება ცალკე ნაწილები, რომელთაც ძვლები ჰქვია.

**2. სალსრები.** ძვლები ერთი მეორეზე მოძრაობს სალსრებში. რადგან ძვლების ბოლოს აკრავს ღრტილი და ამიტომ სრულიად სიპი ზედაპირი აქვს, ადვილად დასცურავს ერთი მეორეზე და ისევე, როგორც მანქანის მოძრაობას აადვილებს ღერძზე ზეთის წასმა, აგრეთვე სალსრებშიაც მოძრაობას აადვილებს ერთგვარი ლორწო, აგრეწოდებული სალსრის სითხე. როცა სალსრის ძვლის ბოლო დარტყმის ჩამოვარდნის ან სხვა მიზეზის გამო ჰკარგავს თვის ბუნებრივ მდგომარეობას, იმას ვეძახით ღრძობას.

თუ სალსრის ბოლო ცოტა ხნით შორდება ერთი მეორეს და შემდეგ ისევე თვის კალაპოტში დგება და ამასთან სალსრის პარკი და ნაკრავი ან გასწყდა ან ფრიად გაიჭიმა, ამას ჰქვია სალსრის გაჭიმვა (ორსავე შემთხვევაში მკურნალს უნდა მიჰმართოთ.)

**3. ძვლების შემადგენელი ნაწილები.**—ახლად ამოღებული ძვალი რომ მარილის სიმჟავის ხსნარში ჩავდვათ, ძვლის მიწური ნაწილები თანდათანობით გაიხსნება (დადნება) და დარჩება რბილი, ღრტილის მსგავსი ნივთიერება, რომელსაც შერჩება ძვლის შეხედულობა. ამ ნივთიერებისაგან წარმოსდგება წებო, რომელსაც ცხოველების ძვლებისაგან ხარშავენ.

პირიქით, ძვალი რომ სახმილში დავწვათ, ეს ღრტილის მსგავსი ნივთიერება დაიწვის და შეგვრჩება ძვლის მიწური ნაწილები, რომელნიც აგრეთვე შეირჩენს ძვლის გარეგნულ სახეს. ძვალი, მაშასადამე, შესდგება ძირითადი მასისაგან (ოსეინი), რომელშიაც გამჯდარია ძვლის ნაცარი.

ძვლის ნაცარი, რომელსაც უმთავრესად შეადგენს ფოსფორჟანგა და ნახშირჟანგა კირი, აძლევს ძვალს ქვის სიმაგრეს, ხოლო ოსეინი ჰქმნის მას ფოლადივით მოქნილათ.

ასეთი შედგენილობის გამო ძვალი იოლად იტანს ხოლმე წნევას (დაწოლას, დარტყმას და დაცემას) და მოღუნვას.

სიყრმის ჰასაკში ადამიანის ძვლებში ცოტაა კირის მარილები; ამიტომაც ამ ხანში ძვლები ფრიად მოქნილია. ამიტომ ბავშის ძვლები ფრიად იშვიათად ტყდება (თუნდა ბავშები ხშირად ეცემიან ხოლმე). სამაგიეროდ ბავშის ძვლები იოლად მრუდდება, როცა ბავშს ცუდად უვლიან ან ცუდი ჯდომისაგან (განსაკუთრებით სკოლაში) ან კიდევ იმის გამო, რომ ბავშები ასწევენ ხოლმე დიდ სიმძიმეს (თავიანთ პატარა დებსა და ძმებს, ძალიან მძიმე წიგნებით სავსე ბოხჩებს) ერთს გვერდზე.

და სხვა. სხვა უჯრედებთან ერთად ენერგიულად მუშაობს 2-რე კომუჯრედიც. ყოველ კვირაში ხდება ღია კრება, რომელსაც ესწრება წითელ არმიელების საკმაო რიცხვი.

საბანაკოდ გასვლის შემდეგ მოხდა ყველა კომუჯრედების მდივნების გადახალისება. ჩვენი კომუჯრედის წევრები დაინტერესებული იყვნენ, რომ მდივნად ყოფილიყო რიგის რომელიმე პარტამხანაგი, მაგრამ ეს ვერ იქნა სისრულეში მოყვანილი.

ჩვენი კომუჯრედი ყოველთვის თავის დროზე და შესაფერი ნაყოფიერებით ატარებდა ყველა კომპანიებს.

ივლისის თვის უკანასკნელ რიცხვებში მოხდა აღნიშნულ კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრო პარტამხანაგების მთელი შემადგენლობა და მრავალი უპარტიო წითელ არმიელები. ამ დღეს ჩატარებული იქნა ორი კომპანია: საჰაერო ფლოტის მნიშვნელობა და რევოლიუციონერთა საერთაშორისო დამხმარე საზოგადოების შესახებ.

მომხსენებლები ფართოთ შეეხენ საკითხებს და განსაკუთრებით „რემედასის“ დღევანდელ მდგომარეობას, რევოლიუციონური ხასიათი და მისი გაძლიერების აუცილებლობა გარკვევით აღინიშნა.

კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომ ყოველ გვარ დახმარებას გაუწევენ ამ საზოგადოებას და კრების მთელი შემადგენლობა ერთხმად ეწერებიან საზოგადოების წევრებად.

ცხენისწყლისპირელი.

---

## „სანიმუშო გაკვეთილი“

11 აგვისტოს 1 ქართულ ლეგ. სკოლაში სანიმუშო გაკვეთილი მისცა ამერიკულ—კომპლექსიური მეთოდით მასწ. მაღლაფერიძემ. თემად აღებული ქონდა: „ოქტომბრის რევოლიუცია, ლოზუნგად: ჩვენ ვიცავთ მშრომელთა მონაპოვარს.“

იმავე დღეს მოხდა გაკვეთილის გარჩევა, რომელსაც დაესწრენ: სამხ. კომის მოადგილე, მასწავლებლები, მათი თანაშემწენი და პოლიტხელმძღვანელები.

სკოლის გამგის ამხ. ქუთათელაძის მიერ წარმოდგენილი იყო გეგმა, რომლითაც უნდა გვეხელმძღვანელებია გაკვეთილის გარჩევის დროს. გეგმა ასეთი იყო: 1. დაცული იყო თუ არა ამერიკულ—კომპლექსიური მეთოდი, 2. იყო თუ არა თვალსაჩინოება სათანადოთ გამოყენებული და 3. იქნა თუ არა მიზანს მიღწეული.

სამწუხაროდ, გაკვეთილის გარჩევის დროს ზოგიერთ მასწავლებლებს ემჩნეოდა ცალმხრივობა: ისინი გვერდს უხვევდენ იმ მთავარ შეცდომებს, რომელიც დაშვებულ იქნა მასწ. მაღლაფერიძის მიერ.

აი უმთავრესი შეცდომებიც:

საუბარი პოლიტანბანიდან იყო უსისტემო, არეული, მეტი ყურადღება ექცეოდა უმნიშვნელო ადგილებს; საუბარს ქონდა ლექციური ელფერი: ლაპარაკობდა მხოლოდ მასწავლებელი. წ. არმიელები იყვნენ პასიურ მსმენელად, მათ მხრივ ადგილი არ ქონია თვითმოქმედებითი უნარის გამოჩენას და გაკვეთილის მსვლელობაში აქტიური მონაწილეობის მიღებას. **ეს კი ეწინააღმდეგება ხსენებულ ახალ მეთოდს.**

ხსენებულმა შეცდომამ მოგვცა მეორე უფრო ღრმა შეცდომა: იმის მაგივრად, რომ მას კითხვა-პასუხის საშვალებით წ. არმიელები დაეყენებია გარკვეულ გზაზე, საიდანაც ისინი ადვილად გამოიყვანდნენ ზემოხსენებულ ლოზუნგს, თვითონ **ივარჯიშა ლაპარაკში და დამზადებული ლოზუნგი თავზე მოახვია მსმენელებს.**

მასწ. მაღლაფერიძემ ვერ გადმოგვცა სურათის მთლიანი აღწერა. აქაც მას მოუვიდა იგივე მარცხი, რაც ავღნიშნეთ მეორე შეცდომაში: წ. არმიელები ვერ ჩააბა აქტიურ მუშაობაში სურათის აღწერის დროს; თვითონ კი ბევრი ილაპარაკა, რის შედეგად მივიღეთ ის, რომ მან **დამზადებული ლოზუნგი მიართვა მსმენელ წ. არმიელებს.**

ლოზუნგი: „ჩვენ ვიცავთ მშრომელთა მონაპოვარს“, რომელიც უნდა გამოეყვანა სურათიდან თვით **წ. არმიელებს**, მასწ. მაღლაფერიძემ უჩვენა ეს დაფაზე დაწერილი, კარგა ხანს ივარჯიშა თვითონ იმის წაკითხვაში და მერე გადმოაწერია წ. არმიელებს რვეულებში. შემდეგ გაახსენდა სიტყვების დამარცვლა და ანბანის გამოყოფა და აქაც გვარიან ხანს ივარჯიშა. ასე რომ წ. არმიელები ამ შემთხვევაშიც **გარეშე მაყურებლები დარჩენ.**

ამნაირად, ამერიკულ კომპლექსიურ მეთოდის მაგივრად წ. არმიელებმა მიიღეს (?) რაღაც უსისტემოდ, დაშლილი, ნაწყვეტ-ნაწყვეტად გადმოცემული ცოდნა ანბანიდან და ქართული ენიდანაც.

გაკვეთილის მეორე ნახევარი დაიწყო და გათავდა იმით, რომ მასწ. მაღლაფერიძემ დაფაზე დასწერა განყენებული რიცხვები: 25, 26, 27, 48 და წ. არმიელებსაც ჩააწერია რვეულებში. ამასთან აუხსნა მათ, რომ რიცხვის წერა იწყება მარჯვნიდან მარცხნივ, მაგ.. რომ დავსწეროთ 27, ჯერ უნდა დავსწეროთ 7 დი მერე კი—2-იო, და ამის მიზეზიც განმარტა. ეს არაბებმა მოიგონეს და ისინიც ასე უკუღმა სწერენო. ესეც, რასაკვირველია, წ. არმიელებისთვის გაუგებარი დარჩა; ზოგი მათგანი ადგილიდან იძახოდენ—ასე, ამხ. მასწავლებელო, ვერ დავსწერეთო.

ამ დროს უცბად დაფაზე გამოჩნდა გაშლილი მუნჯი, აღმოსავლეთ მატერიკის რუქა, რომელზედაც მაღლაფერიძემ მოახდინა გვარიანი უშედეგო ექსკურსია, დაწყებული ლენინგრად-მოსკოვიდან, გათავებული ცის ტატნობით. ამავე დროს მას არ გამორჩენია, თქვენ წარმოიდგინეთ, საუზმე და საგზალ-სამხარიც.

აქ ვჩერდებით, რადგან წერილი ისედაც გაგვიგრძელდა.

ჩვენი დასკვნა ასეთია: 1. ამერიკულ-კომპლექსიურ მეთოდის მთავარი მოთხოვნილებანი დარღვეულიყო.

ქართულ ენაში მიზანი მიუღწეველი დარჩა.

თვალსაჩინოება ცუდათ იყო გამოყენებული.

გაკვეთილის მიცემის პროცესი მოგვაგონებდა ტიპიურ სქოლასტიურ სკოლას.

არითმეტიკის და გეოგრაფიის გაკვეთილს არ მოუცია არავითარი შედეგი.

რისთვისაც ჩვენ, მასწავლებელთა ერთი ჯგუფი, წმინდა ამერიკულ კომპლექსიურ მეთოდის თვალსაზრისით, მაღლაფერიძის მიერ მიცემულ „სანიმუშო გაკვეთილს“ ვთვლით არა დამაკმაყოფილებლად.

**მასწავლებლები: ა. ფარულავა, ს. ქუთათელაძე, კუბლაშვილი.**

---

## „წითელი არმია—მტრის თავზე ზარია.“

„წითელი არმიელი“-ს № 568 ში მოთავსებულია წერილი 1-ლ ლეგ. სკოლის ცხოვრებიდან მ. ბუაჩიძისა, რომელსაც უნდა მოვახსენო, რომ მისი წერილის ზოგიერთი ადგილები სიმართლეს მოკლებულია და თან დამახინჯებული.

მაგ., „კრებამ განიხილა კვირეული კონსპექტები მასწავლებლების: მაღლაფერიძის და ფარულავას“—სწერს ბუაჩიძე.

ეს ასე არ ყოფილა.

მართალია, კრებაზე წაიკითხეს კონსპექტები მაღლაფერიძემ და ფარულავამ, მაგრამ საქმე ის არის, რომ პირველმა წაიკითხა **კოლექტიურად შედგენილი კონსპექტი**, მეორემ (ე. ი. მე) **საკუთარი ნამუშე**ვარი და არა კოლექტიური. ამას კი, ამხ. ბუაჩიძევ, მნიშვნელობა აქვს.. მერე თქვენ სწერთ, თითქოს ჩემი ლოზუნგი ენის მხრივ კრებას დაეწუნოს; ესეც შეცდომაა, ამხ. ბუაჩიძე, ერთი რომ, კრებას კი არა **თქვენ დაიწუნეთ** ენის მხრივ ჩემი ლოზუნგი, თორემ კრებას ის **ძალიან მოეწონა.** მეორე **„წითელი არმიელი მტერთა ზარია“**, სწერთ თქვენ; ჩემ მიერ შემუშავებული ლოზუნგი კი ასეთია:

**„წითელი არმია - მტრის თავზე ზარია.“**

რომლის ენაც და რითმაც კარგია და ადვილი შესათვისებელი წ. არმიელებისათვის.

მასწ. აქვ. ფარულავა.

---

## ლიტერატურა და ხელოვნება

### არქეოლოგიური აღმოჩენა საგურამოში.

საგურამოში აღმოჩენილ იქნა ძველთა ძველი სასაფლაო.

სასაფლაო მდებარეობს მდინარე არაგვის მარცხენა ნაპირზე, გადასილულია მდინარისაგან და იმყოფება 10 მეტრის სიმაღლეზე არაგვის ეხლანდელ დონის ზენაპირიდან.

სასაფლაოს გვერდით აღმოჩენილ იქნა ქვის კედელი, რომლის სიგრძე უდრის 9 მეტრს და სისქე კი ერთნახევარს.

აღნიშნულ ადგილზე ჩამორეცხილ ფერდობზე მოსჩანს ნახევრად დანგრეული 15 საფლავი, რომელთა განხილვის დროს აღმოჩენილი იქნა შემდეგი ნივთები:

1) **ადამიანის ძვლები** დამჯდარ მდგომარეობაში და პირი მიმართული აქვს ჩრდილო აღმოსავლეთიდან — სამხრეთ დასავლეთისაკენ. ძვლები მსხვილი და საკმაოდ მკვრივია, თავის ქალა კი მეტად სქელი.

2) **აუარება უძველესი ტიპის ჭურჭლეულობა**, როგორც ფორმით და შემადგენლობით ისე ორნამენტითაც.

ერთი ჭურჭლის ძირზე გამოხატულია მზის ნიშანი.

3) **ქვის იარაღები** ჩაქუჩი, საომარი ნაჯახი, ნაჯახი—სოლი, ქვა ხუთი ჩარღმავებით ხელის თითებისათვის, ფილთა-ქვა როდინით და მრავალი სხვა. ყველაფერი ეს აღმოჩნდა მამაკაცების საფლავებში.

4) **ბრინჯაოსაგან დამზადებული ნივთები** აღმოჩნდა მხოლოდ დედაკაცების საფლავებში და ისიც ერთობ მცირე რაოდენობით.

ქინძისთავები, ყელზე გასაკეთებელი სამკაულები. („აჟერელიე“), სპირალის სახის ბეჭდები—ორმაგი სპირალი „ნაირის“ ტომის ტიპისა.

საგურამოს სასაფლაოსა და მასში აღმოჩენილ ნივთების ხასიათი იმას ღაღადებს, რომ ეს სასაფლაო ეკუთვნის ქვის პერიოდის უკანასკნელ და ბრინჯაოს პერიოდის დასაწყისს, რადგანაც ბრინჯაოს მცირე რაოდენობა იქნა აქ აღმოჩენილი, და ამავე დროს ის იხმარებოდა მაშინ, როგორც სამკაული. ეს დაახლოებით შეიძლება ითქვას.

სისწორით კი მხოლოდ მაშინ გამოირკვევა, როდესაც მოახდენენ მთელი იმ მიდამოების გათხრას, თუ ამ გათხრებმაც დაამტკიცეს ეს შეხედულება მაშინ ის სასაფლაო მიეკუთნება კავკასიის ყელის უძველეს სასაფლაოებს.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამ მიდამოების სისქეში ძირს გეოლოგიური მდგომარეობა ღაღადებს მის ძველთა ძველობაზე.

ამნაირად საგურამოს სასაფლაო დიდ ინტერესს ბადებს თვისი და მასში აღმოჩენილ ნივთების სიძველით.

საგურამოს სასაფლაოს ბევრი რამეების გამორკვევა შეუძლია კავკასიის უძველესი ისტორიიდან.

თვით ეს მიდამოები მდებარეობს შვიდი ვერსის დაცილებით მცხეთიდან მდინარე არაგვის ნაპირზე.

---

## ახალი ამბები.

— **მმაჩი სოფლად.** ოზურგეთის სამაღმასკომმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც აღკრძალულია მმაჩის გამგეების ქორწილებსა და ქელეხებში სიარული, მსგავსად მატყუარა და გაიძვერა მღვდლებისა.

— **წვიმა თელავის მაზრაში.** თელავის მაზრაში მოვიდა წვიმები, რამაც მოსავალი გამოაცოცხლა.

— **გლეხთა მომგებიანი სესხი.** გლეხთა მომგებიანი სესხის განაღდება მთელ რესპუბლიკაში კარგად მიმდინარეობს და უახლოეს ხანში დასრულდება.

— **კოოპერატივების წევრთა რიცხვი.** ცეკავშირის კოოპერატიულ ორგანიზაციების წევრთა რიცხვი ამჟამად აღწევს 150.000 წევრს.

— **სკოლების შეკეთება შორაპნის მაზრაში.** შორაპნის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა ნება მიეცეთ გლეხებს გაინაწილონ ურთიერთშორის ის თანხა გადასახდელად, რომელიც საჭირო იქნება ადგილობრივ სკოლების შესაკეთებლად.

— **მესაქონლეთა კავშირი აჭარაში.** აჭარის მიწად-მოქმედების კომისარიატის ინიციატივით არსდება აჭარის მესაქონლეთა კავშირი.

— **სურამ—ძირულის შარა გზა.** გზა-ტკეცილების სამმართველომ დაიწყო დიდი შარა გზის გაყვანა სურამ—ძირულის მიმართულებით.

— **საქართველოს სამხედრო გზაზე.** 5 და 6 აგვისტოს საქართველოს სამხედრო გზაზე, გუდაურ—კობის მახლობლად ჩამოწვა დიდი მეწყერი. მიმოსვლა განახლდა.

— **კოოპერატივების ქსელი.** ცეკავშირი ამჟამად აერთიანებს 120 მთლიან მომხმარებელ კოოპერატივს, 500 განყოფილებით და 20 სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობით.

— **საბურთალოს ამოშრობა.** უკვე დამთავრდა საბურთალოს ჭაობებიან ადგილების ამოშრობა. ახლო ხანში დამთავრდება არხის გაყვანა.

— **წითელ არმიელთა ოჯახებზე ზრუნვა.** ქართულ ცხენოსან ლეგიონის სამნეია ნაწილმა გაუგზავნა დუშეთის მაზრის აღმასკომს იმ წითელ არმიელთა ოჯახების სია, რომელთაც ეჭირებათ დახმარება.

— **ჯარის კულტ-მზრუნველობა სოფელზე.** საარტილერიო დივიზიონმა მიიღო კულტურული მზრუნველობა სოფ. მარტყოფზე (გარე-კახეთი).

— **სამხედრო ტრიბუნალში.** 14 აგვისტოს სამხედრო ტრიბუნალში გაირჩევა 1-ლი ლეგიონის წითელ მოლაშქრის შალვა ზაქარიაშვილის საქმე. ბრალდება ორჯერ დეზერტირობა.

— **მოსავლის გამორკვევა.** ქალ. აღმასკომის მიწად-მოწყობის განყოფილებას დაევალა გამოარკვიოს მიმდინარე წლის მოსავლიანობა რესპუბლიკის ყველა მაზრებში.

— **უმუშევართა არტელი.** ქალ. აღმასკომის წყალსადენის განყოფილებამ განიზრახა დაარსოს უმუშევართა არტელი გარე უბნებში წყალსადენის გაყვანისათვის მუშაობის საწარმოებლად.

— **გვალვის შედეგები.** საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან მოსულ ცნობების თანახმად საქონლის ჭირის გავრცელების მიზეზი უფრო გვალვაა. სიცხეებისაგან ბევრგან დაშრა წყლები და გახმა ბალახი.

— **მღვდლები იხდიან ანაფორას.** დუშეთის აღმასკომში შედიან განცხადებები ყოფ. მღვდლებისაგან მღვდლობის თავის დანებების და გაპარსვის შესახებ თუ მათ მისცემენ სხვა რაიმე თანამდებობას.

— **ხე-ტყის მასალის გატანა ოსმალეთში.** აჭარისტანის ეკონომიურმა საბჭომ ნება დართო ოსმალეთის კუთვნილ აჭარელ გლეხების საჭიროებისათვის ხე-ტყის მასალის გატანის შესახებ.

— **ახალგაზრდა ლენინელები სოფლად.** ოზურგეთის სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა ცირკულიარულის განკარგულებით აღკრძალა ახალგაზრდა ლენინელების მიერ ადმინისტრატიული ფუნქციების შესრულება, როგორიცაა ჩხრეკა-დაპატიმრება, კონტრაბანდასთან ბრძოლა და სხვა.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1300 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ბუაჩიძე.